

## უმაღლესი სასტაციო დაწუსებულების ხარისხის მართვის სისტემის ავტომატიზაცია

ქეთევან დათუკიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზუმე

განხილულია უმაღლეს სასტაციო დაწუსებულების სპეციალისტების მომზადების ხარისხის მონიტორინგის სისტემა ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემის საფუძველზე.

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი სასტაციო დაწუსებულება. ინტეგრირებული ატომატიზებული სისტემა. სტაციონარული ხარისხის მონიტორინგი.

### 1. შესავალი

უმაღლეს სასტაციო დაწუსებულების (უსდ) ინოვაციური განვითარება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაღალი ტექნოლოგიების სწრაფი ზრდა და მისი ინტეგრაცია მსოფლიო უმაღლესი განათლების სისტემაში უსდ-ს წინაშე აყენებს თანამედროვე დონის ხარისხიანი სპეციალისტების მომზადების ამოცანას, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილ იყოს უსდ-ში ხარისხის მენეჯერნების ეფექტური ფუნქციონირებით.

უსდ ხარისხის სისტემა ეს არის ორგანიზაციულ სტრუქტურის, მეთოდების, პროცესების და რესურსების ერთიანობა, რომელიც საჭიროა ხარისხის სფეროში პოლიტიკის განახორციელებლად.

უსდ ხარისხის სისტემა მოიცავს მისი საქმიანობის შემდეგ სფეროებს: პედაგოგიურს, კვლევით, ადმინისტრაციულს და ეკონომიკურს. მოღვაწეობის აღნიშნული სფეროები კავშირშია ერთმანეთთან და ხშირ შემთხვევაში გადაკვეთავენ ერთმანეთს.

განათლების ხარისხის შეფასება მოიცავს შემდეგი ეტაპებს:

- აბიტურიენტების მომზადების ხარისხის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასება;
- უსდ დამთავრების შემდეგ დროის რაღაც მონაკვეთში სპეციალისტების მომზადების ხარისხის შეფასება.

სასტაციო პროცესის ყოველ ეტაპზე უსდ ხარისხის კონტროლის შიდა სისტემაშ უნდა განსაზღვროს:

- ხარისხის მაჩვენებლები, რომლებიც ექვემდებარებიან შეფასების კრიტერიუმებს;
- მონიტორინგის ფორმები და მეთოდები და მიღებული მონაცემების ანალიზი.
- ორგანიზაციის კონტროლის დონეები (ფაკულტეტი, დეპარტამენტი, მასტაცლებელი, სტუდენტი);
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფებში სამუშაოს ორგანიზების და პასუხისმგებლობის გადანაწილების წესები, ხარისხის კონტროლის სისტემის ფუნქციონირების პროცესში.
- ხარისხის მაჩვენებლების ოპტიმიზაციას ან გაუმჯობესების მეთოდები;
- ხარისხის სისტემის და უნივერსიტეტის მართვის სისტემის ურთიერთკავშირი.

ამ თვალსაზრისით, განათლების სისტემის მართვაში, საჭირო გახდა ახალი მეთოდებისა და ფორმების შემუშავება. ეს ამოცანა შესაძლებელი გახდა გადაწყვეტილიყო უსდ განათლების ხარისხის მართვის სისტებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგით, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს შედეგი:

- უსდ რესურსების ეფექტური გამოყენება;
- საგანმანათლებლო პროცესების მონიტორინგი ხარისხის ერთიანი სისტემის კრიტერიუმებით;
- ღიცენზირების და სახელმწიფო აკრეტიზაციის გარანტია;
- შიდა და გარე გარემოში ცვლილებებზე ოპერატორული რაეგირება;
- უსდ ორგანიზაციული მართვის სტრუქტურის სრულყოფა მათი სხვადასხვა დონეზე ურთიერთქმედების მიზნით;
- ხარისხის სფეროში სტრატეგიული მიზნების და ამოცანების განსაზღვრა;
- კონტიგენტის შერჩევა;
- შიდა (პერსოლანალი, სტუდენტი) და გარე (დამსაქმებლის) დაკმაყოფილება.

სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სისტემის ადმინისტრაციული მართვის და ფუნქციონირების ეფექტურობა შესაძლებელია მხოლოდ ინტეგრირებული ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემის სფუძველზე.

ნებისმიერი ინფორმაციული სისტემების საფუძველს წარმოადგენს დაწესებულიბის კორპორატიული ქსელი და ერთიანი მონაცემთა ბაზა. უსდ-ში შექმნილი ინტეგრირებული ავტომატიზირებული ინფორმაციული სისტემა შეგვიძლია განვიზილოთ როგორც უნივერსიტეტის ინფორმაციული ასლი, რომელიც მოიცავს მასში გამავალ მრავალ ბიზნეს-პროცესს. ესენია:

1. უსდ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პროცესები:
  - უსდ სტრატეგიული დაგეგმვარება;
  - ხარისხის დარგში პოლიტიკის და მიზნების მართვა;
  - სამუშო პროცესების დაგეგმარება;
  - ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზი ხელმძღვანელიბის მხრიდან;
  - გამაფრთხილებელი, კორექტირების და გაუმჯობესების პროცესები;
  - უსდ საქმიანობის ყველა სფეროში მართვის სისტემური მიღეომის დანერგვა;
  - ინფორმაციული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვა;
  - ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურის გამართვა;
  - მონიტორინგისა და შეფასების სიტემის გამართვა და განვითარება;
  - უსდ თვითშეფასება და შიდა აუდიტი მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში;
  - პერსონალის მოთხოვნების განსაზღვრა, შერჩევა, სამსახურში მიღება, თანამდებობაზე არჩევა;
  - პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
  - ფინანსური დაგეგმარება.

## 2. მირითადი სამუშაო პროცესები:

- სასწავლო-მეთოდოლოგიური მუშაობა, რომელშიც შედის სასწავლო გეგმის შემუშავება, არსებული და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამუშავება, დისიპლინის სამუშაო პროგრამის შექმნა, საგნის სწავლების დაგეგმარება;

- საგანმანათლებლო პროცესების განხორციელება (ლექციების წაკითხვა, პრაქტიკული სამუშაოების წარმართვა, გამოცდების ჩატარება...);
- საგანმანათლებლო პროცესების შეფასება და კონტროლი;
- მიმართულებების, სპეციალისტიაციის და სპეციალობების მომზადება ლიზენზირებისთვის და აკრედიტაციისთვის;
- კარიერის არჩევასა და დასაქმებაზე კონსულტაციები და დახმარებები;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
- ბაზარზე საგანმანათლებლო მომსახურების მარკეტინგული კვლევა, შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი;
- სარეკლამო საქმიანობა - სკოლებთან კავშირი, იმ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან კავშირი რომელიც არის უნივერსიტეტის პროფილი.

### 3. დამხმარე პროცესები:

- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სამეცნიერო ლიტერატურით, მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო-ტელეკომუნიკაციური რესურსებით;
- მოხერხებული საგანმანათლებლო გარემის უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკების მომსახურება, ბიბლიოთეკის ინფორმაციული რესურსების მართვა;
- სტუდენტებთან და უნივერსიტეტის პერსონალთან საგანმანათლებლო მუშაობა;
- სტუდენტების და უნივერსიტეტის პერსონალის სოციალური მხარდაჭერა;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ინტეგრირებული ავტომატიზირებული სისტემის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ინფორმაციის მაღალი დონის დეტალიზაცია, რომელიც ინახება მონაცემთა ბაზებში. ფაქტიურად მონაცემთა ბაზა უნდა განვიხილოთ როგორც კონსტრუქტორი, რომელიც საშუალებას იძლევა ნებისმიერი პროცესის მოდელირების, ან როგორც დოკუმენტი, რომელიც ანალიზის საფუძველზე ინახავს სისტემუტური და დაეტალური ინფორმაციას.

ინტეგრირებული ავტომატიზირებული სისტემის ღირსებას წარმოადგენს პრაქტიკულად შეუზღუდავი შესაძლებლობები ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის შექმნაში და სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგში.

ინფორმაციის დეტალიზაციის მაღალი დონე შესაძლებლობას ქმნის რეალიზაცია გუკეთოს ინტეგრირებული ავტომატიზირებულ სისტემაში სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სისტემის შემდეგ ელემენტებს:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგს, რომელიც მოიცავს მიღწევების ტესტურ კონტროლს და სტუდენტების შუალედური და საბოლოო გამოცდების შედეგების ანალიზს;
2. სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ წამოყენებული მოთხოვნების მონიტორინგს;
3. სასწავლო ქვედანაყოფების საქმიანობის ხარისხის მონიტორინგს;
4. საგანმანათლებლო პროგრამებისადმი აკრეტიზაციის მაჩვენებლების შერულების მონიტორინგს.

### 3. დასკვნა

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემა საშუალებას გვაძლევს:

- გავზარდოთ მართვის პროცესების უფექტურობა, სამართავი ობიექტის მდგომარეობაზე ოპერატორულად მიღებული უფრო საიმედო ინფორმაციის და მართვის რეაქციის დროის შემცირების ხარჯზე;
- გავათავისუფლოთ მართვის ყველა დონის უწყება ნაკლებად პროდუქტიული რუტინული სამუშაოსგან, რომელიც მდგომარეობს ინფორმაციის შეგროვებასა და მრავალგვარი რეპორტების შედგენაში, რაც ქმნის პირობებს შემოქმედებითი მუშაობისთვის;
- მკვეთრად შევამციროთ დოკუმენტბრუნვაში ქაღალდის ნაკადები;
- საქმის წარმოების სტანდარტიზაციისთვის;
- ვაწარმოოთ უსდ ლიცენზირების და სახელმწიფო აკრედიტაციის დამოუკიდებელ პროცედურებზე ორგანიზაციული მხარდაჭერა;
- ჩატარდეს მონიტორინგი სხვადასხვა მიმართულებით;
- სტატისტიკური და ანალიტიკური ანგარიშების ფორმირებისთვის განათლების ხარისხთან დაკავშირებით.

**AUTOMATION OF QUALITY MANAGEMENT SYSTEM  
OF HIGH SCHOOL**  
Datukishvili Ketevan  
Georgian Technical University

**Summary**

In the article author discusses Specialists development monitoring system of higher education institutions that is based on integrated automated system.

**АВТОМАТИЗАЦИЯ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ КАЧЕСТВОМ  
ВЫСШЕГО УЧЕБНОГО ЗАВЕДЕНИЯ**

Датукишвили К.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассматривается система управления качеством образования на основе интегрированной автоматизированной информационной системы.